პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУзии и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 37-ე წელი № 266 (10660) | ხუთშაბათი, 15 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

აღვზარდოთ კადრები მაღალი პრინციპულობის სულისკვეთებით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის განუხრელი წინსვლის დიადი პროგრამა. ამ პროგრამის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორულ მუშაობაზე, სამრეწველო საწარმოებისადმი, მშენებლობებისადმი, კოლმეურნეობებისადმი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი, საბჭოთა მეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე.

მთელ თავის ორგანიზატორულ საქმიანობაში პარტია ემყარება დიდი ლენინის მითითებებს იმის შესახებ, რომ ქვეყნისადმი წარმატებით ხელმძღვანელობისათვის საჭიროა უნარი — დაარწმუნო მასები და უნარი — პრაქტიკულად მოაწყო პარტიის პოლიტიკის განხორციელება. ამიტომაც ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად პარტია აძლიერებს თავისი ადგილობრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობას კადრებთან მუშაობისათვის, კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

კადრები პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდია, პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გადაწყვეტი ძალაა. კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ აღწევს გამარჯვებებს იმიტომ, რომ იგი თავის პოლიტიკურ ხაზს ყოველთვის განამტკიცებს ფართო ორგანიზატორული საქმიანობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები ჰქონდათ კადრებთან მუშაობაში, პარტიული, სამეურნეო და იდეოლოგიური ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობაში. იმპერიალიზმის პირსისხლიანმა აგენტმა ბერიამ და მისმა დამქაშებმა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ, დიდი ზიანი მიაყენეს ქართველ ხალხს. რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო აპარატის კადრები მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ კონტროლისა და ბოლშევიკური კრიტიკის გარეშე, არ იღებდნენ სწორ პარტიულ აღზრდას. ეს ხელს უწყობდა უცხო, ანტიპარტიული ჩვევების, მლიქვნელობის, მაამებლობის, კარიერიზმის, ერთმანეთისათვის ხელის დაფარების დანერგვას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმმა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან მოითხოვა გაშალონ ფართო ახსნაგანმარტებითი მუშაობა და ბრძოლა ბერიევშჩინის შედეგების საბოლოოდ დაძლევისათვის, გაიაღონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, შექმნან მლიქვნელობის, მაამებლობის ფაქტებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ვითარება, აღზარდონ კადრები მაღალი პრინციპულობის სულისკვეთებით.

ყველა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ საქმიანობაში მთავარია კადრების სწორად შერჩევა, აღზრდა, განაწილება და შესრულების სისტემატური შემოწმება. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მუშაკთა თვისებრივი შემადგენლობა, განვამტკიცოთ ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციები პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებისადმი ერთგული ადამიანებით, რომლებმაც კარგად იციან საქმე და შეუძლიათ წინ წასწიონ იგი.

მაგრამ ბევრი პარტიული კომიტეტი ასე როდი იქცევა. ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი სიღნაღის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში კადრებთან მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებებისა და შეცდომების შესახებ. სიღნაღის პარტიულ ორგანიზაციაში სისტემატურად ირღვეოდა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპები. ხელმძღვანელ სამუშაოებზე მუშაკები ინიშნებოდნენ არა პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მიხედვით, არამედ ძმა-ბიჭობის, ნაცნობობისა და მეგობრული ურთიერთობის მიხედვით. რაიკომის ბიურო კადრებს არ ზრდიდა ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა შეურიგებელი ბრძოლა უნდა აწარმოონ შინაურულობასა და ურთიერთთავდებობასთან, ისინი მტკიცედ უნდა იცავდნენ კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინურ პრინციპებს.

კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა კარგად იცნობდე ადამიანებს, ყოველდღიურად სწავლობდე მათ. სამწუხაროდ, ზოგიერთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციაში კადრების შესწავლას უდგებიან ბიუროკრატულად, განცალკევებულად, მხოლოდ და მხოლოდ ანკეტის მონაცემებისა და ფორმალური ცნობების მიხედვით. მუშაკის ღირსება და ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა მუშაობის პროცესში ირკვევა. ამიტომ მუშაკთა პოლიტიკური და საქმიანი თვისებები უნდა შევამოწმოთ არა დაპირებებთან და დეკლარაციებით, არამედ მუშაობის ფაქტიური შედეგების მიხედვით. მუშაკის ცუდ თვისებას, მის არაპრინციპულობას მოწმობს თუ იგი ყოვლისაღმთქმელი სიტყვებით გამოდის, ადვილად იძლევა დაპირებებს, მაგრამ შემდეგ აღარ ზრუნავს მათი შესრულებისათვის. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები იშვიათი როდია. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პარტკომის მდივანი ს. აბზიანიძე და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გოგოლაშვილი ხშირად გამოდიან კრებებსა და თათბირებზე და კოლექტივის სახელით გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ, მაგრამ მათი შესრულებისათვის ძალიან ცოტას აკეთებენ. წელს ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრების არც ერთი მუხლი არ შესრულებულა. იგივე ითქმის კასპის რაიონის ზემო ხანდაკის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. გორგაძის შესახებ.

ეს ნაკლოვანებანი რომ აღმოვფხვრათ, საჭიროა უნარიანად მოვაწყოთ შესრულების შემოწმება. შესრულების შემოწმება განუხრელად დაკავშირებულია კადრების შერჩევაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ამოცანასთან, კადრების შესწავლასთან.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა აღზარდონ კადრები პრინციპულობის, პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, პატიოსნებისა და გულმართლობის სულისკვეთებით, ნაკლოვანებებისადმი, ანტისახელმწიფოებრივი, კუთხური და უწყებრივი ტენდენციების ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

აღვზარდოთ კადრები — ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ვიზრუნოთ მათი მარქსისტულ-ლენინური მომზადებისათვის, პოლიტიკური გამოწრთობისა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რომ მათ შეეძლოთ კონკრეტულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ მინდობილ საქმეს.

პარტიული კომიტეტების მოვალეობაა მნიშვნელოვნად გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, თუ რა მდგომარეობაშია კადრებთან მუშაობა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში. კადრების შერჩევა, ისევე როგორც შესრულების შემოწმება, ნამდვილად უნდა გახდეს მთავარი საქმე ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერის წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მიმართ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სახელზე მიღებულია სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ჩ. ბოლენის შემდეგი წერილი:

1956 წლის 13 ნოემბერი.

მის აღმატებულებას
კ. ე. ვოროშილოვს
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
მოსკოვი

პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ,

პრეზიდენტის მითითებით პატივი მაქვს გადმოგცეთ მისი შემდეგი წერილი:

„გულწრფელად გმადლობთ თქვენი მოლოცვის წერილისათვის ჩემი ხელახლა არჩევის გამო. შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე კვლავაც ვესწრაფვი საყოველთაო მშვიდობას და უკეთეს ურთიერთ გაგებას, რასაც საფუძვლად უდევს სამართლიანობა ყველასათვის“.

გულწრფელად თქვენი,

ჩარლზ ე. ბოლენი

მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა თანამეგობრობა

ყვარლის რაიონის კოლმეურნეებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოლდავეთის სსრ რომანოვკის რაიონის მშრომელები

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ საქართველოში იყო მოლდავეთის სსრ რომანოვკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ პარტიის რომანოვკის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე პ. სტეპანცევი, რომანოვკის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ოვსიანიკოვი, რომანოვკის მტს-ის მევენახე აგრონომი ე. ჩეკერი, სოფელ ისერლიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ვ. ფუჩეჯი, რომანოვკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი პ. დიაკონი, სოფელ აბაკლიას კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ცარანი და სხვები.

დელეგაციამ ოთხი დღე დაჰყო ადიგენის რაიონში, სადაც გაეცნო კოლმეურნეობათა ეკონომიკასა და შრომის ორგანიზაციას, ინახულა კუროორტი აბასთუმანი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა სოფელ კახარეთის მახლობლად.

შემდეგ ყვარლის რაიონის მშრომელთა თხოვნით მოლდავეთის დელეგაცია გაემგზავრა ყვარელში. ორი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრები ყვარელში, ახალსოფელში, შილდასა და რაიონის სხვა სოფლებში ხალხთა შორის ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა.

ამას წინათ შედგა ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებისა და მტს-ების მოწინავეთა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გამოიწვიონ რომანოვკის რაიონის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. თათბირმა მიიღო მიმართვა მოლდავეთის სსრ რომანოვკის რაიონის მშრომელებისადმი.

ყვარლის რაიონის ეკონომიკას ბევრი რამ აქვს საერთო მოძმე მოლდავეთის რომანოვკის რაიონის ეკონომიკასთან. ყვარლის რაიონის კოლმეურნეობათა მეურნეობის ძირითადი დარგებია მევენახეობა, მარცვლეული კულტურები და მეცხოველეობა.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობათა მეურნეობის წამყვანი დარგი და მათი შემოსავლის მთავარი წყაროა მევენახეობა. ყვარლის რაიონი სახელგანთქმული ქართული ღვინის „ქინძმარაულისა“ და მაღალხარისხოვანი კონიაკის „ენისლის“ სამშობლოა.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით ამთავრებენ სასოფლო-სამეურნეო წელს. საშუალოდ რაიონში ჰექტარზე მიღებულია 14,3 ცენტნერი ხორბალი, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 12 ცენტნერი. რაიონმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა მოსავლის აღება და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. აქ სიმინდის მოსავალიც კარგი იყო. მაგალითად, სოფელ ჭიკაანის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში 240 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 34 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

„ჩვენი კოლმეურნეობები, — ნათქვამია რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვაში, — წელს ყურძნის კარგ მოსავალს იღებენ. უკვე 22 ოქტომბერს რაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა 6.000 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, ყურძნის დამზადების გეგმა 101 პროცენტით შეასრულა.

რაიონში სერიოზული ყურადღება ექცევა მებაღეობისა და მეაბრეშუმეობის განვითარებას. წლითიწლობით დიდდება ბაღებისა და თუთის პლანტაციების ფართობი, იზრდება მათი მოსავლიანობა“.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები, სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, დიდ ღონისძიებებს იღებენ იმისათვის, რომ გაადიდონ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და აამაღლონ მისი პროდუქტიულობა. გასულ სამეურნეო წელს ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა და საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 882 კილოგრამი რძე, ანუ 613 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

წელს მნიშვნელოვნად გადიდდება შრომადღის ღირებულება. კოლმეურნეები მიიღებენ გაცილებით უფრო მეტ ბარცვლეულს, ღვინოსა და ფულს, ვიდრე შარშან.

„ძვირფასო ამხანაგებო! — წერენ თავიანთ მიმართვაში ყვარლელები, — მოლდაველი და ქართველი ხალხების მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მოლდავეთში შრომობდნენ საქართველოს ისეთი სახელოვანი შვილები, როგორიც იყვნენ განმანათლებელი ანთიმოზ ივერიელი და პოეტი ბესიკი. თქვენი დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში ჩვენი მოძმე ხალხების მეგობრობის მკაფიო გამოვლინებაა.

ახლა, როცა სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს მეექვსე ხუთწლედის დიადი ამოცანები, ჩვენს პატრიოტულ მოვალეობად მიგვაჩნია ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში“.

გამოიწვიეს რა სოციალისტურ შეჯიბრებაში რომანოვკის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები, ყვარლელმა კოლმეურნეებმა და სოფლის მექანიზატორებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

მათ გადაწყვიტეს 1956-57 წლებში გააშენონ 360 ჰექტარი ახალი ვენახები, აქედან 1956 წლის შემოდგომაზე — 173 ჰექტარი; ფართოდ დანერგონ მევენახეობაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება; მინიმუმამდე დაიყვანონ ვენახების სიმეჩხრე; მაღალი მოსავლის მიღების მიზნით ჩაატარონ ვენახების საზამთრო რწყვა; 1957 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარ მსხმოიარე ვენახზე კოლმეურნეობებში მიიღონ 60 ცენტნერი ყურძენი, ხოლო მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში — 65 ცენტნერი.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები ვალდებულებას კისრულობენ გააუმჯობესონ პირუტყვის მოვლისა და კვების პირობები და ამის საფუძველზე მიაღწიონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ამაღლებას. მათ გადაწყვეტილი აქვთ თვითეული ძროხისათვის დაამზადონ ექვსი ტონა სილოსი და მიმდინარე სამეურნეო წელს ძროხის საშუალო წველადობა აიყვანონ 1.000 კილოგრამამდე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას და მეცხოველეობის ფერმებში მექანიზაციის ფართოდ დანერგვას.

„მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილებები, — წერენ თავიანთ მიმართვაში ყვარლელები, — სოფლის მეურნეობის მუშაკებს გვავალებს სწრაფად განვავითაროთ მეცხოველეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი და შემოსავლიანი დარგი — მეღორეობა. 1956 წლის ბოლოსათვის გასუქებიდან მოვხსნით 2.000 სულ ღორს, რომელთა საერთო ცოცხალი წონა 1.200 ცენტნერი იქნება. 1957 წელს გასასუქებლად დავაყენებთ იმდენ ღორს, რომ საშუალება გვექნეს ღორის ხორცის ხვედრითი წონა ხორცის საერთო წარმოებაში ავიყვანოთ 40-50 პროცენტამდე“.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა მნიშვნელოვანი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. ეს ვალდებულებები ითვალისწინებს 1957 წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილ იქნას 15 ცენტნერამდე, ხოლო სიმინდისა — 25 ცენტნერამდე. გადაწყვეტილია სიმინდის 80 პროცენტი დაითესოს კვადრატულ-ბუდობრივი წესით, ფართოდ იქნას გამოყენებული სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ისეთი მნიშვნელოვანი საშუალება, როგორიც არის მინერალური და ორგანული სასუქები.

კისრულობენ რა ამ ვალდებულებებს, ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები მოძმე მოლდავეთის რესპუბლიკის რომანოვკის რაიონის მშრომელებს მოუწოდებენ ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა საერთო ღონისძიებებით იბრძოლონ სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების ვადამდე შესრულებისათვის.

ლაპარაკობენ ნოვატორები

დაზოგილი მილიონები

იზრდება რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიგები ჩვენს ქარხანაში. ამჟამად აქ სამასამდე რაციონალიზატორია, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება შემოიტანეს და დანერგეს წარმოებაში, დაიჩქარეს ტექნიკური პროგრესი, ხელი შეუწყეს შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ გავრცელებას და სამშობლოს მილიონობით თანხა დაუზოგეს. ქარხნის რაციონალიზატორების შემოქმედებითი აზრი მიმართულია იმ საკითხების გადაჭრისაკენ, რომლებსაც ამა თუ იმ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქარხნის რიტმული მუშაობისათვის.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ ასეთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა უნივერსალური სახარატო ჩარხების გასაგზავნად შეფუთვის საკითხი.

უნივერსალური ჩარხების გასაგზავნად შეფუთვას ვაწარმოებდით მოსკოვის ერთ-ერთი მოწინავე ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ შედგენილი ნახაზების მიხედვით. ამ ქარხანამ ჩვენზე ადრე დაიწყო ასეთი ჩარხების გამოშვება და, რა თქმა უნდა, მათ მეტი გამოცდილება ჰქონდათ ამ საქმეში. მაგრამ რკინიგზის ნორმალურ ორღერძიან ვაგონ-ბაქანზე ამ ნახაზების მიხედვით შეფუთული მხოლოდ ორი ცალი ჩარხი თავსდებოდა და ამასთან თვითეული ჩარხის შესაფუთავად საჭირო იყო 1,54 კუბმეტრი დახერხილი ხის მასალა. მეორე ტიპის („1დ 63 ა 3000“) ჩარხი კი ასეთსავე ვაგონ-ბაქანზე მხოლოდ ერთი ცალი ეტეოდა და შესაფუთავად გვჭირდებოდა 2,26 კუბმეტრი ხის მასალა.

პირველ წლებში, როდესაც უნივერსალურ სახარატო ჩარხებს შედარებით მცირე რაოდენობით ვუშვებდით, მათი ტრანსპორტირების საქმის სიმწვავე არ იგრძნობოდა, ხოლო შემდგომ, როდესაც დავიწყეთ უნივერსალური ჩარხების სერიულად გამოშვება, რკინიგზა ვეღარ აგვიდიოდა ვაგონ-ბაქნების მოწოდებაში, ფერხდებოდა მზა პროდუქციის დანიშნულებისამებრ გაგზავნა. ამასთან დღის წესრიგში დადგა შესაფუთავად საჭირო ხის მასალის ეკონომიის საკითხი.

ამ საკითხის გადასაჭრელად სხვა რაციონალიზატორებთან ერთად მეც დავიწყე მუშაობა. დიდი ხნის ძიების შემდეგ მივაღწიე სასურველ შედეგს. ჩემი წინადადებით შეიცვალა შესაფუთავი ყუთის კონსტრუქცია. ყუთის ძირი, რაზეც ჩარხი მაგრდებოდა, ისე შევცვალე, რომ მასზე ჩარხის დაყენება შეიძლება შებრუნებულ მდგომარეობაში 18-გრადუსიანი კუთხით გრძივი ღერძის მიმართ. ამან საშუალება მომცა ჩარხის ძრავი გადამეტანა ჩვეულებრივი ადგილიდან ჩარხის უკანა საყრდენის გვერდით, რის შედეგადაც შესაძლებელი შეიქნა ყუთის სიგანის შემცირება 21 სანტიმეტრით. ამასთან შევამცირე ყუთის ქვედა კოჭების კვეთი სიმტკიცის შეუმცირებლად. ამ წინადადების განხორციელებამ საშუალება მოგვცა რკინიგზის თვითეულ ვაგონზე ორის ნაცვლად ოთხი ჩარხი მოგვეთავსებინა, ხოლო ხის მასალის რაოდენობა თვითეულ ჩარხზე 0,3 კუბმეტრით შეგვემცირებინა. ამან ქარხანას მარტო გასულ წელს 276 ათასი მანეთი დაუზოგა, ხოლო წინადადების დანერგვიდან დღემდე მიღებული ეკონომია მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. ამასთან რკინიგზის ვაგონების საჭიროების შემცირებით სახელმწიფომ მიიღო კიდევ ერთ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

გარდა ამ წინადადებისა, შეტანილი მაქვს კიდევ სამი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც ქარხანას 50.000 მანეთზე მეტი ეკონომია მისცა. ამჟამად, ქარხნის მიერ ახალი ტიპის ჩარხის ათვისებასა და გამოშვებასთან დაკავშირებით, ვამუშავებ ახალ საკითხს, რომლის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გააადვილებს შრომას, შეამცირებს მუშახელს და ქარხანას მისცემს დიდი თანხის ეკონომიას.

ვეცდები კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღო ქარხნის რაციონალიზატორთა შემოქმედებითს შრომაში, ჩემი პატარა წვლილი შევიტანო ჩარხმშენებელთა წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

დ. ნიქაბაძე,
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ინჟინერი.



* * *

სურათზე: დ. ნიქაბაძე (მარჯვნივ) ჩარხის ერთ-ერთი დეტალის ნახაზს აცნობს მოწინავე მემოდელეს ვ. ჩერეპოვს.

ჩვენს რესპუბლიკაში

თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს მოწინავე ხარატი ა. გეთაშვილი, რომელმაც პირნათლად გაანაღდა საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებები, კვლავ ინარჩუნებს აღებულ ტემპს და ყოველდღიურ საწარმოო გეგმას 200-250 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მახარაძის რაიონმა შეასრულა ხილის დამზადების გეგმა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა დიდი გადაჭარბებით — 193 პროცენტით შეასრულეს ხილის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 950 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 1.840,7 ტონა ხილი. (საქდესი).

ჩოხატაურის რაიონმა შეასრულა ყურძნისა და ხილის დამზადების გეგმა

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 12 ნოემბრისათვის შეასრულეს ყურძნისა და ხილის დამზადების წლიური გეგმა.

სახელმწიფოსათვის ყურძნისა და ხილის ჩაბარება გრძელდება. (საქდესი).

შაორის ჰიდროელექტრო-სადგურის კოლექტივის წარმატება

ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში საუკეთესო შრომითი წარმატება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის ენერგოსისტემის ერთ-ერთი ახალი ჰიდროელექტროსადგურის — შაორ-ჰესის კოლექტივმა. მან ვადაზე ერთი თვით და ოცი დღით ადრე გააღაღა ელექტროენერგიის გამომუშავების მიმდინარე წლის დავალება. აღსანიშნავია, რომ კილოვატსაათი ელექტროენერგია 16,5 პროცენტით უფრო იაფი დაჯდა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. (საკ. კორ.).

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მეათიათასე ნომერი

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტებისა და აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მეათიათასე ნომერი.

12 ნოემბერს ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ამ მნიშვნელოვანი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. შავიშვილმა. მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი ამხ. შ. ჭურიძე.

მომხსენებელმა და მისასალმებელი სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს „საბჭოთა აჭარის“ მიერ გაწეულ ნაყოფიერ მუშაობაზე, იმ მნიშვნელოვან წვლილზე, რაც გაზეთს შეაქვს აჭარის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის საქმეში. „საბჭოთა აჭარა“, რომელიც თავის საქმიანობაში მტკიცედ ეყრდნობა მუშაკორთა ფართო აქტივს, დიდ დახმარებას უწევს აჭარის პარტიულ ორგანიზაციას სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, რაზმავს მასებს ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, ზრდის აჭარის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სხდომაზე გამოქვეყნდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციისადმი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით რედაქციისა და სტამბა-ლითოგრაფიის 14 მუშაკი დაჯილდოებულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. (საკ. კორ.).

მეკვენახეობა და მეხილეობა—ყურადღების ცენტრში

★ ★ ★

გ ო რ უ ლ ი ხ ი ლ ი

შემოდგომის დღეებია...

წელიწადის ამ დროს მეტად ლამაზია გორის რაიონის სოფლები. ყველგან ზარაქანი შემოდგომის სურნელი ტრიალებს. საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული.

სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ ერთ-ერთ წამყვან და მაღალშემოსავლიან დარგს მეხილეობა წარმოადგენს. აქ მსხმოიარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი ვაშლი მოკრიფეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 47 ცენტნერისა.

— კოლმეურნეობაში ბევრი მოწინავე მეხილეა. მაგრამ ხილის ისეთი დიდი მოსავალი, როგორიც ლენინის ორდენოსან სიკო ცაციაშვილს მოპყავს, ჯერ არავის მიუღია, აი ისიც, — ამბობს მეხილეობის ბრიგადის ხელმძღვანელი იოსებ ნატრიაშვილი და ნაბდის ქუდიან, საშუალო ტანის კაცისაკენ იშვერს ხელს.

სამოც წელს გადაცილებული მეხილე ახალგაზრდასავით არის. თქვენ მას ხედავთ სურათზე ნაყოფით დახუნძლულ ვაშლის ხეებში.

ს. ცაციაშვილი ერთ ჰექტარ ბაღს უვლის. ბაღში მთლიანად კეხურას ჯიშის ვაშლია გაშენებული. ტოტები ვერ იკავებდნენ ხშირად დასხმული ნაყოფის სიმძიმეს.

მეხილემ იანგარიში და საშუალოდ თვითეულ ხეზე მოკრეფილი გამოუვიდა 650 კილოგრამი. ჰექტარზე მოსავალმა 850 ცენტნერს მიაღწია.

რით აღწევს წარმატებას ს. ცაციაშვილი? იმით, რომ თვითეულ ძირ ხეს საუკეთესოდ უვლის, თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას.

სოფლის შარაგზებსა და ცენტრალურ გზატკეცილებზე განუწყვეტლივ მიმოდიან ვაშლით დატვირთული ავტომანქანები. დარისხებული, შეფუთული ხილი პუნქტებიდან გადმოაქვთ კანტორის საექსპედიციო განყოფილებაში. აქედან კი გორული ხილი



რკინიგზით იგზავნება ჩვენი ქვეყნის დიდ-ქალაქ მოსკოვში, აგრეთვე დიდ სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში. წელს დამზადების კანტორამ მარტო მოსკოვში უკვე გაგზავნა 8 ათასი ცენტნერი ვაშლი.

დამზადებული ხილის მნიშვნელოვანი ნაწილი ბარდება გორის საკონსერვო ქარხანას, აგრეთვე იგზავნება ჭუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და ორჯონიკიძის საკონსერვო ქარხნებში.

ადრე დილიდან გვიან დაღამებამდე არ წყდება მუშაობა საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში. გორელი კოლმეურნეები მშრომელთა სუფრას ამშვენებენ გემრიელი ხილით.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

თელიანის ღვინის ქარხანა

ამას წინათ მწყობრში ჩადგა თელიანის ღვინის ქარხანა.

ქარხანა და მისი სარდაფი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი, მექანიზებულია ყველა შრომატევადი სამუშაო. ქარხანას აქვს საკუთარი ელექტრომეურნეობა, წყალსადენი, კანალიზაცია.

ქარხნის სარდაფის მიწისქვეშა ბეტონის დარბაზები 300 ათასი დეკალიტრი სამარკო ღვინოების სამწლიანი დაძველებისათვის არის განკუთვნილი. ყველაფერია გათვალისწინებული ქართული ღვინოების — „№ 2 თელიანისა“ და „№ 4 მუკუზნის“ გასაკეთილშობილებლად.

თელიანის ღვინის ქარხნის მშენებლობა, რაზეც 12 მილიონი მანეთია ნავარაუდევი, ჯერ მთლიანად არ არის დამთავრებული. ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ ძირითადი კორპუსები, სარდაფის პირველი და მეორე სართულების სათავსები და დამხმარე ნაგებობები — სახელოსნოები, საორთქლე მეურნეობა, სპირტსაცავი კასრების განყოფილებები, სახანძრო დეპო, კასრების სამრეცხაო და სხვ.

მალე დამთავრდება სარდაფის მესამე სართულის მეორე განყოფილების (სადღეღამო), ადმინისტრაციული კორპუსის, ლაბორატორიის, მაცივრის კეთილმოწყობა, ეტილის საამქროს დამონტაჟება. ქარხნის მშენებლობა მთლიანად მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება.

ქარხანამ მიმდინარე წელს 1.700 ტონა ყურძენი გადაამუშავა, ხოლო მომავალ სეზონში, როცა მისი ყველა განყოფილება ამუშავდება, 3.500 ტონაზე მეტს გადაამუშავებს.

თელიანის ღვინის ქარხანამ წელს დაბრკოლებებით იმუშავა. უხარისხო გამოდგა ორკალათიანი ჰიდრავლიკური წნეხები, რომლებიც ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელ ქარხანაშია დამზადებული. ცუდად არის დამონტაჟებული კალათის სამოძრაო ლიანდაგები. არსებული მანქანები ვერ უზრუნველყოფენ, განსაკუთრებით, კაბერნეს ჯიშის ყურძნის გადამუშავებას.

კაბერნეს ჯიშის ყურძნის დაუბრკოლებელი გადამუშავებისათვის სპეციალური ტიპის ტექნოლოგიური მანქანა არის საჭირო. სპეციალისტებმა ამაზე უნდა იფიქრონ.

ქარხნის ადმინისტრაცია ყურადღებით მოეკიდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. მუშაობს სასადილო, აბანო, კოოპერაციული მაღაზია, მიმდინარეობს ეზოპარკის მოწყობა, მუშებს სულ მალე რადიოსატრანსლაციო ბაზიც ექნებათ.

შ. როსტომაშვილი,

თელავის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის ხმის“ რედაქტორი.

თელიანის ღვინის ქარხნის საერთო ხედი.

მიჩურინელი მეგაღე

ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ ოქიოში (ახმეტის რაიონი) რომ გეკითხათ, ვინ ცხოვრობს ყველაზე ღარიბად სოფელშიო, გიპასუხებდნენ, — თომა ნახუცრიშვილიო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან თომამ შვება იგრძნო. შრომა სახალისო გახდა. მალე იგი კოლმეურნეობაში შეევდა. წერა-კითხვა საღამოს სკოლაში შეისწავლა. ყოველთვის მისი ფიქრები მცენარეთა სამყაროში ტრიალებდა.

თომა ნახუცრიშვილი ყველაზე მეტად მებაღეობამ გაიტაცა. განსაკუთრებით აინტერესებდა ჯიშიანი მეხილეობა. პირველი ცდები სწორედ ჯიშიანი ხეხილის გაშენებას მოანდომა.

მიჩურინული მოძრაობის გაქანებამ თომას ენთუზიაზმი შემატა. იგი ესწრაფვოდა თავისი ოსტატობის სრულყოფას. სპეციალურ კურსებზე მხურვალედ დაეწაფა მიჩურინული მოძღვრების ღრმად შესწავლას. მდიდარი პრაქტიკის მქონე კოლმეურნე მალე მთელ რაიონში ცნობილი გახდა, როგორც წარჩინებული მიჩურინელი მებაღე.

იგი მთათუშეთის ალპურ ზონაში ნაყოფისმომცემი ჯიშიანი ხეხილის გაშენების ინიციატორია. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მას სოფელ შენაქოში საცდელი ნაკვეთი გამოუყვეს. ხანგრძლივი ცდებისა და მუშაობის შედეგად მან წარმატებას მიაღწია: მთათუშეთში ახლა ხარობს ყინვაგამძლე საუკეთესო ხარისხის ჯიშიანი მსხალი და ვაშლი.

ნახუცრიშვილი სათავეში ჩაუდგა აგრეთვე პანკისის ხეობაში (ბაწარას ნაკრძალი) გარეულ მაჟალოსა და პანტაზე ჯიშიანი ხეხილის დამყნობას. სოფელ ბაკანის მიდამოებში 100 ჰექტარზე დამყნობილ იქნა ჯიშიანი, ნაყოფის მომცემი ვაშლი და მსხალი.

გამოცდილი მებაღე თავის ცოდნას და გამოცდილებას გადასცემს საშუალო სკოლის მოსწავლეებს. იგი ხელმძღვანელობს სოფლების აწყურისა და ოქიოს საშუალო სკოლებთან არსებულ ნორჩ მიჩურინელთა წრეებს.

თომა ნახუცრიშვილს მალე 60 წელი შეუსრულდება. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანასა და წარმოებაში დანერგვას.

ი. ბეჟანიშვილი.

ორგანიზებულად ჩავატაროთ წიგნის ერთთვიური

საბჭოთა წიგნი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. პარტიის XX ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებს. ლიტერატურის გავრცელების მკვეთრად გაუმჯობესების საქმეში. ამ ამოცანების შესრულებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს „საქწიგნის“ სამმართველო ჩაება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და მუშაობაში კარგი მაჩვენებლებისათვის „საქწიგნის“ სამმართველოს მიეკუთვნა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ყურადღების ცენტრშია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებისა და სხვა პოლიტიკური ლიტერატურის გავრცელების საქმე. ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება ამ გამოცემებზე. აგრეთვე საგრძნობლად გადიდებულია სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური, სამედიცინო და სხვა დარგობრივი ლიტერატურის გამოცემა. საბჭოთა მკითხველი დიდ ინტერესს იჩენს რუსი და საზღვარგარეთის კლასიკოსების და მოძმე რესპუბლიკების ხალხთა მწერლების ნაწარმოებებისადმი.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდად გაიზარდა მოთხოვნილება ქართველ მწერალთა ნაწარმოებებზე, რომლებიც თარგმნილია რუსულ ენაზე. ზოგიერთი დასახელების წიგნებზე რუსეთიდან და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან მიღებული შეკვეთები მთლიანად ვერ სრულდება ტირაჟის სიმცირის გამო.

ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს საქართველოს მწერალთა კავშირმა, რომელსაც ევალება მხატვრული ლიტერატურის თარგმნა რუსულ ენაზე, ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამასთან ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებელია წიგნის პროპაგანდა და ფართო ინფორმაცია ახლად გამოსულ წიგნებზე; გამოყენებული არ არის ყველა საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ლიტერატურის გავრცელების და მკითხველისათვის წიგნების მიწოდების საქმეს.

არის ისეთი რაიონები, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ და ვერ ასრულებენ წიგნის რეალიზაციის გეგმას (ახალქალაქი, ახმეტა, მარნეული და სხვა.). ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილებზე წიგნის ასორტიმენტის შესწავლას და წიგნის ფონდის შევსებას, მჭიდრო კავშირი არ არის ბიბლიოთეკებთან, ქოხ-სამკითხველოებთან, საწარმო-დაწესებულებებთან.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი გამომცემლობები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. არის მრავალი შემთხვევა, როცა გამომცემლობის მიერ დიდი ტირაჟით გამოშვებული წიგნები მთლიანად არ ვრცელდება და წლების განმავლობაში აწყვია თაროებზე.

ჩვენი ახალგაზრდები, კერძოდ, ბავშვები, დიდ ინტერესს იჩენენ წიგნისადმი. აშკარად უნდა ითქვას, რომ საბავშვო წიგნის გამოცემის საქმე მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. ცალკეული დასახელების საბავშვო წიგნების ტირაჟი ძალიან მცირეა და სრულებით ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

წიგნით ვაჭრობა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. წიგნის გავრცელება დავალებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს „საქწიგნის“ სამმართველოს, — ხოლო სოფლად წიგნის გავრცელება — [illegible] კოოპერაციის ქსელი. უნდა ითქვას, რომ სოფლად წიგნის გავრცელება გასულ წლებთან შედარებით ნაწილობრივ გაუმჯობესდა. 1954 წელს სამომხმარებლო კოოპერაციას გადაეცა 8,8 მილიონი მანეთის წიგნები, 1955 წელს კი 11,2 მილიონი მანეთისა. საგრძნობლად გაიზარდა წიგნის მიწოდება სოფლად 1956 წელს. მიუხედავად ამისა, წიგნის გავრცელება-რეალიზაციის საქმე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკეული მუშაკები ადგილებზე ნაკლებად ზრუნავენ წიგნის გავრცელებისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში კი წიგნის გამყიდველთა კადრები ამ საქმისათვის შეუფერებელი არიან. საჭიროა ამ მხრივ მეტი დაინტერესება გამოიჩინონ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას უახლოეს ხანში სოფლად წიგნის გავრცელების გაუმჯობესება.

დღეს, 15 ნოემბერს, იწყება წიგნის ერთთვიური. ერთთვიურის ჩატარების დროს ერთიორად უნდა გადიდდეს წიგნის რეალიზაცია. ამ ღონისძიებამ უნდა უზრუნველყოს იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რომლებიც ჯერ კიდევ არის წიგნის გავრცელების საქმეში.

ერთთვიურის ჩატარებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ჩვენს მწერლებს, რომლებიც შეხვდებიან მკითხველებს და გაეცნობიან მათ. უეჭველია ამ მნიშვნელოვან საქმეს გამოეხმაურება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი.

წიგნის ერთთვიურის დროს ქალაქად და სოფლად საკმაო რაოდენობით გაიგზავნება ახლად გამოცემული პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო, საბავშვო და სხვა ლიტერატურა. აუცილებელია ერთთვიურის ჩატარებაში დახმარება გაგიწიონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

მ. გოცირიძე,

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნით ვაჭრობის სამმართველოს — „საქწიგნის“ უფროსი.

ჩვენ გვწერენ

მგზავრთა მომსახურების გასაუმჯობესებლად

საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს ტყიბულ-ქუთაისის რკინიგზის ხაზის ექსპლოატაციას. მიუხედავად ამისა, რკინიგზის ამ ხაზზე დღემდე არ იყო მოგვარებული მგზავრთა კულტურული მომსახურების ისეთი ელემენტარული საკითხი, როგორიც არის სადგურებს შუა პლატფორმებზე ფარდულების მოწყობა. მაგალითად, გელათ-ორპირის სადგურებს შუა კურსების პლატფორმა, ორპირ-ხრესილის სადგურებს შუა ჭყეპის პლატფორმა და ხრესილ-საწირის სადგურებს შუა დაბაძვლის პლატფორმა საესებით მოუწყობელი იყო.

რკინიგზელები უკვე შეუდგნენ ტყიბულელი მეშახტეებისა და მთელი მოსახლეობის თხოვნის დაკმაყოფილებას. მათ უკვე დაამთავრეს ჭყეპის პლატფორმაზე ფარდულის შეკეთება, დაკვრითი წესით დაიწყო კურსების და დაბაძვლის პლატფორმებზე მოედნების მოსწორება-ამაღლება, მოზიდეს საშენი მასალები ფარდულების ასაგებად. ამასთან ერთად კურსების, ჭყეპის, ჯონიის, ბუეთის და დაბაძვლის კოლმეურნეობების წევრებმა გადაწყვიტეს სრულ წესრიგზე მოიყვანონ რკინიგზასთან მისასვლელი გზები.

კვლავ მოუგვარებელი რჩება ტყიბულ-თბილისს შუა მგზავრების გადაყვანის საკითხი. მართალია, არსებობს ტყიბულ-თბილისის ერთი პირდაპირი ვაგონი, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას. ამ ვაგონით, გარდა ტყიბულის რაიონის მოსახლეობისა, სარგებლობს ამბროლაურის და ონის რაიონების მოსახლეობაც. აქვე აღსანიშნავია, რომ ვაგონი ძველი ტიპისაა, შეიძლება ითქვას, ამახინჯებს თბილის-ქუთაისის მატარებლის შემადგენლობას. სასურველია ეს ვაგონი შეიცვალოს ახალი ტიპის ვაგონით, ამასთან საჭიროა თბილის-ქუთაისის მატარებელს დაემატოს მეორე ვაგონი ტყიბულის, ამბროლაურისა და ონის რაიონებიდან მგზავრების თბილისში გადასაყვანად ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში მაინც.

ი. ბაბრიაძე,

საქართველოს კპ ტყიბულის რაიკომის საერთო განყოფილების გამგე.

მივხედოთ სამკურნალო აბაზანებს

სოფელ მექვენის (ქუთაისის რაიონი) ტერიტორიაზე 1950 წელს აღმოჩენილ იქნა სამკურნალო მინერალური წყალი, რომლის ტემპერატურა 33,8 გრადუსია, ხოლო დებიტი დღეღამეში 110 ათას ლიტრს აღწევს.

საქართველოს სსრ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა შეისწავლა ამ წყლის თვისებები. აღმოჩნდა, რომ ეს წყალი საუკეთესო საშუალებაა გულის, სისხლძარღვების, სახსრებისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

მინერალური წყლის აბაზანები, რომლებიც მექვენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის, კეთილმოუწყობელია. აბაზანების ტერიტორია შემოუღობავია. არ არის სასტუმრო, სადაც სამკურნალოდ ჩამოსულ ადამიანს შეეძლება ღამე გაათიოს. არც სასადილოა.

მექვენის აბაზანების კეთილმოწყობა კოლმეურნეობის შესაძლებლობას აღემატება. ამ აბაზანებს ყურადღება უნდა მიაქციონ რაიონულმა ორგანოებმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ.

მექვენის სასოფლო საბჭოს დეპუტატები: დ. ნემსაძე, ს. გელოვანი, რ. კასაძე, შ. კაკიტაძე.

აღმოვფხვრათ მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევები

პარტიისა და მთავრობის, ხელმძღვანელი სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სავაჭრო ქსელის მუშაობის გასაჯანსაღებლად მიღებული მთელი რიგი ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ვხვდებით სავაჭრო ქსელში მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევებს, ვაჭრობის მუშაკთა შორის ჯერ კიდევ არიან არაკეთილსინდისიერი ადამიანები, იოლი „საშოვრის“ მოტრფიალეები.

დახლის პატიოსან მუშაკთა სახელის შემბღალველი ამ არამზადების გამოვლინება, მათი განდევნა სავაჭრო ქსელიდან შეუძლებელი იქნება, თუ თვითონ მომხმარებლები, მთელი საზოგადოებრიობა არ დაგვეხმარა. სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციის რესპუბლიკურ სამმართველოში ბევრია იმის დამადასტურებელი ფაქტები, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა თვითონ მომხმარებლები დაინტერესდებიან სავაჭრო ქსელში შეპარული უღირსი ადამიანების გამოვლინებით. აი ერთი მაგალითი:

საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციის სამმართველოში შემოვიდა ერთი მოქალაქის განცხადება იმის შესახებ, რომ თბილისის რკინიგზის მთავარი სადგურის ბაქნებზე ნაყინს გადამეტებულ ფასებში ჰყიდნენ. სამმართველოს წარმომადგენლებმა მოაწყეს შემოწმება და მართლაც აღმოჩნდა, რომ ვაფლის ჭიქებით ნაყინს ამ სადგურზე ჰყიდნენ 2 მანეთად ნაცვლად 95 კაპიკისა. თვით შემოწმების დროს სამმართველოს წარმომადგენლების თვალწინ ნაყინის დამტარებელმა ვ. აფაქიძემ უცნობ მოქალაქეს 5 ჭიქა ნაყინში 4 მანეთისა და 75 კაპ. ნაცვლად 10 მანეთი გადაახდევინა. აფაქიძეს ხელი ჩაავლეს, მომხმარებელი მას პირისპირ წარუდგა და დაუმტკიცა, რომ ჭიქა ნაყინი 2 მანეთად მიჰყიდა.

გასინჯვისას ვ. აფაქიძეს აღმოაჩნდა ზედმეტი ფული და ბოლოს აღიარა, რომ ნაყინს ზედმეტ ფასში ჰყიდდა და ყოველ ჭიქა ნაყინზე 20 კაპიკს ზედმეტს აძლევდა საწყობის მუშაკს გ. ტოლიაშვილს.

რატომ ვერ ამჩნევდნენ ამას დღემდე მომხმარებლები?—იმიტომ, რომ რკინიგზის თბილისის მთავარი სადგურის რესტორანის ნაყინის საწყობში მაცივარკომბინატიდან მიღებული ნაყინის ჭიქებს აცილებდნენ ბანდეროლს და შესაფუთავ ქაღალდს, რომელზეც ნაყინის წონა და ფასია აღნიშნული, რათა მომხმარებელს იგი არ ენახა და ნაყინის ნამდვილი ფასი არ გაეგო. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციის სამმართველომ ფასების ეს დამმახინჯებლები და ყალთაბანდები პასუხისგებაში მისცა.

მომხმარებელთა დახმარებით ასევე მხილებულ იქნა სოფ. ტაბახმელაში გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ღვინის წერტში გამყიდველად მოკალათებული ვინმე ს. ხელაშვილი, რომელიც ლიტრა ღვინოს დაწესებული 12 მანეთის ნაცვლად სისტემატურად 13 მანეთად ჰყიდდა.

თბილისის მარცხენა ნაპირის კვებვაჭრობის ქსელის 27-ე მაღაზიაში (დროებითი გამგე ვ. ასანიშვილი) მომხმარებლებმა შენიშნეს, რომ გამყიდველი ა. გოგლიძე ხორცში დიასახლისებს სისტემატურად მეტს ახდევინებდა. სათანადო სიგნალის მიღებისთანავე მოწყობილი შემოწმებისას გოგლიძემ მომხმარებელს 7 მანეთად ღირებულ ხორცში 9 მანეთი გადაახდევინა. ასევე თბილპურვაჭრობის 37-ე მაღაზიაში გამყიდველმა შ. ნოსოევმა მომხმარებელს 3 კილოგრამი და 820 გრამი პურის მიყიდვისას წონაში 760 გრამი დააკლო, ხოლო თბილისის მარჯვენა ნაპირის კვებვაჭრობის 124-ე მაღაზიაში გამყიდველმა გ. რურუამ 4 კილოგრამ ერბოში მომხმარებელს ზედმეტად 4 მანეთი გადაახდევინა.

ყველა მათი საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

ეს მაგალითები ცხადყოფენ, თუ რა კარგ შედეგს გვაძლევს სავაჭრო ქსელის მუშაობის გაჯანსაღებისათვის მომხმარებელთა მასების დახმარება.

ჯ. ბუხრაძე,

საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ნუთუ ამაზე მეტი გასაკეთებელი არაფერი გაქვთ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 11 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრში — ქალაქ ჭუთაისში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ღორების გასასუქებლად ნარჩენების გამოყენებას. ქალაქის სასადილოებსა და მოსახლეობაში, აგრეთვე კვების საწარმოებში ყოველთვიურად ათობით ტონა საკმლის ნარჩენების მოგროვება და ასობით ღორების გასუქებაა შესაძლებელი, რასაც დღემდე არ ექცევა ყურადღება.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა „კომუნისტის“ კრიტიკა სამართლიანად ცნო. გაზეთში გამოქვეყნებული წერილი განიხილეს ქალაქის საკვების ობიექტების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების და კვების მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელების თათბირზე. აღნიშნულ ორგანიზაციებს მიეცათ ნარჩენების ჩაბარების მტკიცე დავალება. მოგვარებულია შეგროვებული ნარჩენების დროულად გატანის საქმეც.

რუმინელი მეგობრები რუსთავში

ბუქარესტში, გამარჯვების მოედანზე, აღმართულია მრავალი ეროვნული გრანიტის ობელისკი. საბჭოთა მეომრებს, რომლებიც დაეცნენ ბუქარესტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში! — ასეთი წარწერაა ამ გრანიტზე.

მისგან არც ისე შორს ცად ასვეტილა საკვამლიანი მილები ქარხნისა, რომელსაც ჰქვია „რეპუბლიკა“!

ამ მილებიდან მაღლა ასული კვამლი, ინდუსტრიული მაჯისცემის პირველი მაუწყებელი, ქმნის თეთრ „ღრუბელს“ — დარის ღრუბელს ბუქარესტის თავზე.

„რეპუბლიკის“ კოლექტივს არ ახსოვს, რომ 23 აგვისტოს — ბუქარესტის განთავისუფლების დღეს — აუცილებლად ჩაევლოს საბჭოთა ძმების სამახსოვრო ობელისკის გვერდით.

ქუდს მოწიწებით მოიხდის რეპუბლიკელი, შეჩერდება, თვალს ააყოლებს სვეტს, მერე თავს დაბლა დახრის და ცოტა ხნით დადუმდება, დადუმდება მადლობის ნიშნად. მერე ნაკადად მიედინება ობელისკისაკენ რუმინული მიწის წვენნაწოვ ყვავილთა თაიგულები... მადლობის ნიშნად!

უთუოდ ბუქარესტელ ვლადიმერ იაგელოსაც თავის ბაღში მოწყვეტილი არა ერთი ყვავილით შეუმკია გმირულად დაცემული საბჭოთა მეომრების სამარადისო ხსოვნის ობელისკი.

თუ ახლა ამ რუმინელთა გულში დამკვიდრებულია სიტყვები — პრიეტენე (მეგობრობა) და პაჩე (მშვიდობა), თუ ახლა რუმინელები აშენებენ ახალ, ბედნიერ, სოციალისტურ ცხოვრებას, — ეს ხომ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ომში მათდამი საბჭოთა ძმების უანგარო დახმარების შედეგია.

ხოლო თუ ქარხანა „რეპუბლიკის“ მთავარი ინჟინერი იაგელო და კარპატების მეშახტის ატანასიე საევუს შვილი — ინჟინერი ვასილე ქართველ მეტალურგებთან არიან რუსთავში, რომ ისწავლონ და გამოცდილება გადაიღონ, — ესეც ხომ საბჭოთა ქვეყნის ძმური ხელის გაწვდენის ნაყოფია.

რუსთავში — ქართველ მეტალურგთა ქალაქში რა ენაზე არ გაიგონებთ სიტყვებს — „გამარჯვება“, „მეგობრობა“, „მშვიდობა“ — ჩინურ თუ ესპანურ, პოლონურ თუ ალბანურ, კორეულ თუ ჩეხურ ენებზე. რუსთავი ხალხთა მეგობრობის ქალაქია, მშვიდობისა და ძმობის ქალაქი. ახლა აქ ქართველ ვაჟკაცებთან რუმინელი ამხანაგებიც მეგობრობენ და ჩვენებური „მშვიდობა“ მათს „პაჩეს“ ერწყმის. რუმინელი ამხანაგები ოქტომბრის დღესასწაულზე რუსთავის დგან-400-ის კოლექტივთან ერთად მოაბიჯებდნენ საზეიმო კოლონებში. რუსთავის კულტურის სახლში ქართველ მეტალურგთა სიმღერა-ცეკვას რუმინული მელოდიები და მიმზიდველი ცეკვები ცვლიდნენ.

ახლა რომ ჰკითხოთ, ვერც გიპასუხებთ, სად მეტი გულითადი მეგობრები ჰყავს ვასილე სავუს — მშობლიურ რუმინულ ქალაქ კლუჟში, თუ ქართულ აღორძინებულ ქალაქ რუსთავში.

ვლადიმერ იაგელოს რომ ჰკითხოთ, ჩვენში ხომ არ მოგეწყინათო, გაიღიმებს და გიპასუხებთ, აქ ისევე ვგრძნობ თავს, როგორც რუმინეთში, რადგან მუდმივი ძმური ყურადღებით და მზრუნველობით ვართ გარემოსილნი.

...ევროპაში ბადალი არ მოეპოვება ქართველ მეტალურგთა ქალაქ რუსთავის დგან-400-ს. ეს არის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აგებული, მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით და გამოცდილი მუშებით დაკომპლექტებული დგანი. მგლინავთა ამ კოლექტივთან საწარმოო სწავლებისა და გამოცდილების მიღების მიზნით ამ ორი თვის წინათ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ მეტალურგიის დარგის სპეციალისტები: ინჟინრები, ტექნიკოსები, ელექტრიკოსები, ოსტატები, მვალცავები — რუმინეთის პირველი უდიდესი მეტალურგიული ქარხნის — „რეპუბლიკის“ კოლექტივში წრთობამიღებული ადამიანები.

მაგრამ არის ამ ქარხანას სამასიოდე კილომეტრით დაშორებული ადგილი, სადაც დღეს საბჭოთა სპეციალისტები ამონტაჟებენ ისეთსავე რთულ დგან-400-ს, როგორიც რუსთავშია.

ეს არის ქალაქი რომანი — მომავალ მილმგლინავთა რუმინული ქალაქი.

როცა იმ ქარხნისათვის საბჭოთა სპეციალისტები ამონტაჟებენ უდიდეს აგრეგატს — დგან-400-ს, რომლის მთელი მოწყობილობა გაგზავნილია ურალის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მძიმემანქანათმშენებლობის ქარხნიდან, აქ — რუსთავის მეტალურგებთან, სწორედ უდიდეს დგან-400-ის კოლექტივთან სასწავლად იმყოფებიან რუმინელი მეტალურგები. ისინი, საბჭოთა ამხანაგებისაგან მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით გამდიდრებულნი, მომავალი წლის პირველ ნახევარში დაუბრუნდებიან საბჭოთა სპეციალისტების მიერვე დამონტაჟებულ დგან-400-ს.

40 რუმინელი სპეციალისტი ეუფლება რუსთავში გლინვის მაღალსა და რთულ საბჭოთა ტექნიკას. თვითეული მათგანი მომაგრებულია შესაფერისი სპეციალობის საბჭოთა ამხანაგთან. მაგალითად, საამქროს უფროსის მოადგილე იონ პეხცა სწავლობს ჩვენი მილსაგლინავი საამქროს უფროსის მოადგილესთან — ლ. ოსლამენკოსთან; ინჟინერ-თბოტექნიკოსს კონსტანტინე იორდაკს ასწავლის თბოელექტროცენტრალის ღუმელების ოსტატი ვ. შეყილაძე. რუმინელი ამხანაგები კირიცე სტოიკა, იონ რუსი, ვასილე სავუ, გაშლერ გეორგე სწავლობენ საბჭოთა სპეციალისტებთან ვ. ინანიშვილთან, ი. ბუთხუზთან, ა. დუდინთან, რ. ვაჩუაშვილთან...

თავისუფალ დროს რუმინელები ერთობიან ქართველ სამხანაგებთან, უჩვენებენ თავიანთი მშობლიური ხალხის მხატვრულ თვითმოქმედებას, ეუფლებიან რუსულ ენას.

ვასილე სავუს აქ, რუსთავში, ფაშისტ ოკუპანტთაგან თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლების არა ერთი ქართველი მონაწილე გაუცვნია.

საბჭოთა არმიის, საბჭოთა ქვეყნის ძმური დახმარებით განთავისუფლებული რუმინელი ხალხი დღეს სოციალიზმს აშენებს.

თავისუფალი სახალხოდემოკრატიული რუმინეთის შვილები დღეს საბჭოთა მეტალურგიულ ქარხანაში — რუსთავის ქარხანაში იღრმავებენ ცოდნას და სპეციალობას.

საბჭოთა და რუმინელი ამხანაგების ძმობა ულოვევია.

ვ. თოკრდუა,
გ. ბელაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

სურათზე: ქართველ და რუმინელ ამხანაგთა — მეტალურგთა ერთი ჯგუფი საამქროდან გამოსვლის მომენტში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ფოტოაპარატით ერთ სკოლაში

თბილისის მე-13 საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. კვაჭაძე) დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პოლიტექნიკურ სწავლებას. აქ არის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის საუკეთესოდ მოწყობილი კაბინეტები. სკოლას აქვს საზეინკლო და სახარატო სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულად იმდიდრებენ მიღებულ ცოდნას, ეჩვევიან შრომას. ბევრი მათგანი ისე დაოსტატდა, რომ მასწავლებლის დაუხმარებლად მუშაობს დაზგაზე, ამზადებს სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღს. მოსწავლეები ახლა თავისუფლად აკეთებენ ჩაქუჩებს, გონიოს და სხვ.

უფროსკლასელებს გადაწყვეტილი აქვთ შეისწავლონ ავტომანქანის ძრავას მოწყობილობა, რისთვისაც აქვთ სპეციალური კაბინეტი. ამ საქმეს ხელმძღვანელობს ინჟინერ-მექანიკოსი ა. უშვერიძე. იგი თავის ცოდნასა და გამოცდილებას ხალისით გადასცემს მოსწავლეებს.

სურათზე (მარცხნიდან): ინჟინერ-მექანიკოსი ა. უშვერიძე მოსწავლეებს ო. ეგაძეს, ვ. ფომიჩევას და ს. მელიქოვას აცნობს ავტომანქანის ძრავას მოწყობილობას.

სკოლაში პოპულარობით სარგებლობს ნორჩ მხატვართა წრე, რომელსაც მეათეკლასელი ს. ბარახუსტინი ხელმძღვანელობს. წრეში მრავალი მოსწავლე ეუფლება ხატვას. **სურათზე:** ს. ბარახუსტინი თანაკლასელთან ერთად მუშაობს ახალ ნახატზე.

სკოლას აქვს რადიოკვანძი, რომელიც თვითონ მოსწავლეებმა მოაწყეს. მისი საშუალებით ბავშვები ისმენენ მშობლიური სკოლის ახალ ამბებს. **სურათზე:** მიკროფონთან არის მეთერთმეტეკლასელი ლ. ჯიბიანი, რომელიც შესვენების დროს გადასცემს სკოლის ახალ ამბებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ერეკვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და ტექნიკა

ცეცხლგამძლე სითხე

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოს მახლობლად ფირმა „გლუბნა“ უშვებს ახალ საღებავ საშუალებას „ბეტოგენ დ-55“-ს.

ახალი სითხე გაცილებით უფრო ეფექტიანია ყველა დღემდე ცნობილ ცეცხლგამძლე დამცველ საღებავზე.

გამოსაცდელად ხის ფიცრები გაჟღინთეს „ბეტოგენით“, გადაასხეს ნავთის, ბენზინის და ზეთის ნარევი და წაუკიდეს ცეცხლი. ცეცხლის მოქმედებით „ბეტოგენი“ გადაიქცა ქაფად, რომლის ფენებმა სქლად დაფარა ფიცრები და ცეცხლს არ მისცა მათი მოსპობის საშუალება.

უდიდესი თალოვანი ხიდი

ლანჯოუს აღმოსავლეთით დამთავრდა მშენებლობა რკინაბეტონის თაღოვანი ხიდისა, რომლის სიგრძე 260 მეტრზე მეტია. ეს უდიდესი თაღოვანი ხიდია ჩინეთში. ხიდი აგებულია მდინარე ხუანხეზე, იმ ადგილას, სადაც ის ჰკვეთს შილიშანის მთიან ქედს და ხმაურით გამოჰქუხს ხეობიდან. ხიდი შედგება სამი მთავარი და ორი სანაპირო მალიდან.

ხიდის კონსტრუქცია მეტად მარტივი, მტკიცე და ლამაზია. რკინაბეტონის ხიდები სამ-ოთხჯერ უფრო მეტ ხანს სძლებს, ვიდრე ფოლადისა.

ამ სარკინიგზო ხიდის მშენებლობა მიმდინარეობდა განსაკუთრებით ძნელ პირობებში. მაგრამ მშენებელთა ენერგიული შრომის შედეგად იგი ვადაზე ადრე იქნა დამთავრებული.

სამშენებლო-სამონტაჟო პისტოლეტი



მოსკოვში საუწყებათაშორისო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ დაინტერესებულ სამინისტროთა წარმომადგენლები, კონსტრუქტორები, მშენებელი და მემონტაჟე სპეციალისტები, გამოსცადა № 14 ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილი სამშენებლო-სამონტაჟო პისტოლეტი სმპ-1. ამ პისტოლეტის გამოყენება შეიძლება ელექტროგაყვანილობის მოწყობისას, ელექტროენერგიის განმანაწილებელი ქვესადგურების დამონტაჟებისას, აშენებულ შენობებზე მავთულების ან ბაგირების დასამაგრებლად, აგრეთვე ჭურჭებში ელექტროქსელის მოსაწყობად. დღემდე ეს საქმე ხელით სრულდება, სატეხით ხვრეტენ კედელზე ბაგირის მისამაგრებელ ადგილს, შემდეგ ადუღაბებენ და ბაგირს ამაგრებენ. პისტოლეტი სმპ-1 ამ სამუშაოს რამდენიმე წუთში ასრულებს.

სამშენებლო-სამონტაჟო პისტოლეტი 3 კილოგრამს იწონის. იგი შედგება ჭურჭოიანი ლულისაგან, ავტომატურად შესამართავი ჩახმახისაგან, სახელური კონდახისა და ლულის ბოლოზე მიმაგრებული დამცველი დისკოსაგან. გასროლის წინ პისტოლეტის ლულაში ათავსებენ სპეციალურ დიუბელს, რომელსაც პოლიეთილენის ბოლო აქვს. ეს ბოლო მიმართულებას აძლევს გასროლას. დიუბელში თავსდება ვაზნა, დატენილი ფეთქებადი ნივთიერებით. გამოცდილ იქნა 12 სახის სხვადასხვა ვაზნით პისტოლეტის გამოყენება.

გადაწყვეტილია ასეთი პისტოლეტების მასობრივად გამოშვება და გამოყენება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე.

* * *

სურათზე: სმპ-1 სისტემის სამშენებლო-სამონტაჟო პისტოლეტი.

ბოლომდე აღმოვფხვრათ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივები ქართულ ისტორიოგრაფიაში

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შედეგად სსრ კავშირში დამკვიდრდა ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია, რაც გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობაში, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმში. კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც წარმატებით ხორციელდება, კიდევ უფრო განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას — მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ამ საფუძველთა საფუძველს. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ამ შესანიშნავი მონაპოვრის — სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შერყევა და დარღვევა.

საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს კლასობრივი ბაზა ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის, მაგრამ ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში ჯერ კიდევ არის დარჩენილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები. კომუნისტური პარტია ულმობელ ბრძოლას ეწევა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ზრდის მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყოველმხრივ განვითარდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურა. სერიოზული წინსვლა განიცადა საქართველოს ისტორიოგრაფიამ, იგი აყვანილ იქნა თანამედროვე ისტორიული მეცნიერების სიმაღლეზე. ამ საქმეში გარკვეული დამსახურება მიუძღვით ცნობილ ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებს—ივ. ჯავახიშვილს, გ. ნათაძეს, ს. ხუნდაძეს, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილს, გ. ხაჭაპურიძეს და სხვ. მაგრამ ამ ისტორიკოსების ერთი ნაწილი სავსებით ვერ აღმოჩნდა თავისუფალი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის გავლენისაგან. სამწუხაროდ, ეს სერიოზული ნაკლი რამდენადმე შემდგომი თაობის ზოგიერთ ისტორიკოსზეც გავრცელდა.

საქართველოს ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ის, რომ იგი დღემდე მთლიანად ვერ განთავისუფლდა ე. წ. „ერთიანი ნაკადის“ ანტიმარქსისტული ნაციონალისტური „თეორიის“ მაგნე გავლენისაგან. ამით აიხსნება, რომ საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში სათანადოდ არ მოჩანს კლასობრივი ბრძოლა, როგორც საზოგადოების მამოძრავებელი ძალა, ხალხთა ფართო მასები, რომლებიც ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან.

ასეთი მანკი ახასიათებს, მაგალითად, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (ნ. ბერძენიშვილი, ე. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია — „საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“), რომელსაც წლების მანძილზე ასწავლიან ჩვენს მოზარდ თაობას. ცხადია, ასეთი სახელმძღვანელო ხელს ვერ შეუწყობს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით აღზრდა-განათლების საქმეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმზე აღნიშნული იყო, რომ „ცალკეულ სამეცნიერო შრომებში და მხატვრულ ნაწარმოებებში საქართველოს ისტორიული წარსული ანტიმარქსისტული პოზიციებიდან შუქდება. ყოველნაირად გაიდეალებულია მეფეების, მთავრებისა და მხედართუფროსების მოღვაწეობა და მიჩქმალულია ხალხის მასების როლი ისტორიაში“.

საქართველოს ისტორიის დარგში მომუშავენ მუშაკთა ამოცანაა სავსებით და ბოლომდე აღმოფხვრან „ერთიანი ნაკადის“ ანტიმარქსისტული ნაციონალისტური თეორიის ყოველგვარი გამოვლინება ისტორიაში, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე შეისწავლონ და გააშუქონ საქართველოს მდიდარი და მრავალმხრივი ისტორია. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენი ისტორიის ისეთი გადაუმტრელი პრობლემების დამუშავებას, როგორიც არის საზელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების მიხედვით, საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის საკითხი და სხვ. ჩვენმა ისტორიკოსებმა თავი უნდა დააღწიონ იმ შეუწყნარებელ მდგომარეობას, რომ სამ ათეულ წელზე მეტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მთელ რიგ სხვა ინსტიტუტებში იკითხება „საქართველოს ისტორიის კურსი, ხოლო სტუდენტობას ამ საგანში სახელმძღვანელო არა აქვს.

საქართველოს ისტორიოგრაფიაში ბოლო უნდა მოეღოს ლეგენდას, რომელსაც ზოგიერთი ისტორიკოსი დღემდე არ ივიწყებს. ამ ლეგენდის მიხედვით საქართველოს ნამდვილი ისტორია მთავრდება მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის დაკარგვასთან ერთად. რუსეთთან. საქართველოს შეერთების შემდგომი პერიოდის ისტორიის შესწავლისადმი უყურადღებობის შედეგია, რომ საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილი, რომელიც რუსეთთან საქართველოს შეერთებით მთავრდება, გამოვიდა 16 წლის წინათ, მეორე ნაწილი კი დღემდე გამოქვეყნებული არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს ისტორიის“ პირველ ნაწილში დაშვებული პრინციპული და ფაქტიური ხასიათის შეცდომები გაკრიტიკებული იყო, მაგრამ დღემდე ეს შეცდომები გამოსწორებული არ არის; მაგალითად, მცდარი შეხედულება ქართველი ერის ჩამოყალიბების საკითხებზე. წიგნში გატარებულია აზრი, თითქოს ქართველი ერი მისთვის დამახასიათებელი სამი ნიშნით (ენა, ტერიტორია, ფსიქიკური წყობა) არსებობდა VII-XI საუკუნეებში, რომ ეს არსებობა ემყარება ქართველების „ტომობრივსა და საეკლესიო-კულტურულ ნათესაობასა და კავშირებს“ („საქართველოს ისტორია“, ნაწილი I, გვ. 10. ზედმეტია დავა ამ მოსაზრების უსაფუძვლობის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია ის ჭეშმარიტება, რომ ერი მისთვის დამახასიათებელი ოთხი ძირითადი ნიშნით ყალიბდება აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში. ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა და არა რელიგიური, რასობრივი ან ტომობრივი ერთობა. ცხადია, ქართველი ერი ამ შემთხვევაში არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

ჩვენმა ისტორიკოსებმა მეცნიერულად უნდა შეისწავლონ საქართველოს ახალი (რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდგომი) და უახლესი (საბჭოთა) პერიოდი. ეს პერიოდები ხომ ყველა წინანდელ ეპოქასთან შედარებით ბევრად უფრო მდიდარია უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით, მშრომელი მასების რევოლუციური აქტივობით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინებით, რაც სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე განხორციელდა.

შეუწყნარებელია, რომ დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადო გაშუქება ვერ ჰპოვა ისეთმა შესანიშნავმა ისტორიულმა მოვლენამ, როგორიც არის რუსეთთან საქართველოს შეერთება. მართალია, ამ თემაზე გამოქვეყნებული ლიტერატურა არც თუ ისე მცირეა, მაგრამ იგი, ზოგჯერ ტენდენციურად, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციებიდან აშუქებს საკითხს.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ქვეყნებიდან საქართველო პირველი შეუერთდა რუსეთს. ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყო. საქართველოს მოწინავე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები ძველადაც ცდილობდნენ რუსეთთან დაახლოებას. ამას უკარნახებდა მათ საქართველოს მდგომარეობა, მის აწმყოსა და მომავალზე ზრუნვა. რუსეთის სახით ისინი ხედავდნენ ქვეყანას, რომელსაც შეეძლო საქართველო გამოეყვანა მტრული მუსლიმანური სამყაროს გარემოცვიდან.

რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას სათავეები შორეულ წარსულში აქვს. იგი XI-XII საუკუნეში იწყება. მონღოლთა ურდოების თავდასხმამ რუსეთსა და საქართველოზე კარგახნის მანძილზე შეწყვიტა ეს ურთიერთობა.

XVII საუკუნეში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო ძლიერდება რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული დაახლოების ტენდენცია. დიდმნიშვნელოვანმა ისტორიულმა საქმემ, რაც რუსეთთან უკრაინის შეერთებით განხორციელდა 1654 წელს და რამაც სერიოზული ლახვარი ჩასცა ოსმალეთის აგრესიულ მისწრაფებებს, კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მოვლენების განვითარებაზე ამ მიმართულებით.

რაც უფრო ძლიერდებოდა რუსეთის სახელმწიფო, რაც უფრო გარკვევით ისახებოდა ახალი, ფეოდალიზმთან შედარებით მაღალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ნიშნები, მით უფრო იზრდებოდა რუსეთთან საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დაახლოების ტენდენცია. საქართველოს მოწინავე ადამიანები ხედავდნენ, რომ რუსეთი იყო ერთადერთი რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო ეხსნა საქართველო ოსმალეთისა და სპარსეთის განუწყვეტელი თარეშისაგან.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საფუძვლად ზოგჯერ რელიგიური ერთობას აცხადებენ, ხოლო ზემოხსენებულ სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებს საჭირო ყურადღებას არ უთმობენ. ცხადია, იმ ეპოქაში რელიგიური ერთობა ხელს უწყობდა რუსეთთან საქართველოს დაახლოების საქმეს, მაგრამ გადამწყვეტ როლს ამ საქმეში რომ ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები თამაშობენ, ეს უდავოდ უნდა ჩაითვალოს. ამით აიხსნება მე-18 საუკუნეში რუსეთისაკენ საქართველოს განსაკუთრებული ლტოლვა, როცა რუსეთი ეკონომიური და კულტურული განვითარების ფართო გზაზე გამოვიდა. განვითარების გზაზე გამოსულმა რუსეთის ეკონომიურმა და კულტურულმა ცხოვრებამ იგი გადაიქცია მიზიდულობის მძლავრ ცენტრად საქართველოსათვის, რომელსაც შთანთქმით ემუქრებოდნენ იმ დროს „ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ სტადიაზე“ მდგომი ქვეყნები — ოსმალეთი და სპარსეთი.

საქართველოს პოლიტიკური მესვეურების — ვახტანგ VI, ერეკლე II, სოლომონ I და სხვ. ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მათ მტკიცედ გადაწყვიტეს და თანმიმდევრულად გატარეს ის გენერალური ხაზი, რომელიც ისტორიის ხანგრძლივ მსვლელობაში გამომუშავდა. ეს იყო რუსეთზე ორიენტაციისა და მისი დახმარებით საქართველოს მტრული გარემოცვის ლიკვიდაციის ხაზი. რუსეთთან საქართველოს შეერთება ამ ხაზის გამარჯვებას ნიშნავდა.

მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთს შეუერთდა საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ ამაშინდელ რუსეთს სათავეში ედგნენ მეფე და მემამულეები, რუსეთთან საქართველოს შეერთება პროგრესული მოვლენა იყო. ცარიზმის კოლონიური რეჟიმის მიუხედავად, ჩვენი ქვეყანა მოექცა ისეთ ობიექტურ პირობებში, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. რუსეთის დახმარებით საქართველომ გაარღვია საუკუნეების მანძილზე შექმნილი მტრული გარემოცვის რკალი და ცივილიზაციის ფართო გზაზე გამოვიდა.

ცარიზმის მკაცრი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რუსეთის მოწინავე ადამიანები ყოველთვის აღიარებდნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის უფლებას და საქართველოს მოწინავე მოღვაწეებთან ერთად ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს რუს ხალხთან ქართველი ხალხის დაახლოებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ხალხთა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უდიდესი ძალა მოიპოვა მას შემდეგ, რაც ისტორიის სარბიელზე გამოვიდა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასი — რუსეთის პროლეტარიატი და მისი მებრძოლი ავანგარდი — კომუნისტური პარტია, რომლის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ხალხმა მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

ახლა, საბჭოთა ეპოქაში, როცა ისტორიამ ბრწყინვალედ გაამართლა ჩვენი წინაპრების შეხედულებანი პოლიტიკური ალღო, მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც აუგად იხსენიებენ რუსეთთან საქართველოს დაახლოებისა და შეერთების პოლიტიკას. ასეთ პირებს თავი „საქართველოს პატრიოტებად“ მოაქვთ, მაშინ როცა თავიანთი მცდარი შეხედულებებით ისინი ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ზიანს აყენებენ.

ზოგიერთი ისტორიკოსი, მაგალითად, პროფესორი ი. ცინცაძე, ჩვენს დროში აგრძელებს და „აღრმავებს“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის კონცეპციას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების გაშუქებაში. იმის ნაცვლად, რომ მიესალმოს და ღირსეულად დააფასოს ვახტანგ VI და მისი თანამედროვე ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, რომელიც იწონებს რუსეთთან დაახლოების სწორ საგარეო-პოლიტიკურ ხაზს, ი. ცინცაძე იწუნებს და გმობს ამ პოლიტიკას. იგი წერს: „ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ისტორიაში რუსეთთან ურთიერთობა ყველაზე საბედისწერო იყო, ქართლის სამეფო ამ პოლიტიკამ გატეხა წელში და არა მარტო ქართლი დაზიანდა ამით — მთელ საქართველოს შეეხო ეს უბედურება. ს. ჩხეიძის თხზულება კი რომ გადაიკითხოს ადამიანმა, ამ მარცხზე ერთ სიტყვასაც ვერ იპოვის“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. „მიმმხილველი“, ტ. III, გვ. 88, 1953 წ.).

ი. ცინცაძის აზრით, ისტორიკოსი ს. ჩხეიძე ისეა გატაცებული რუსეთზე ორიენტაციით, რომ თურმე არც კი სურს დაინახოს ის საშინელი ხვედრი, რომელიც ვახტანგ VI-ის ამ ორიენტაციამ არგუნა საქართველოს.

„სეხნია ჩხეიძე, — წერს იგი, — თავისი თხზულებით რუსეთზე ორიენტირების მომხრე ქართველ მოღვაწედ წარმოგვიდგება. მისი თხზულება მკითხველში რუსეთისადმი სიმპატიების გაცხოველებას იწვევდა უდაოდ, და, რაც მთავარია, ჩხეიძე განზრახან ისეთ ფაქტებს უყრის თავს, რომ რუსეთის სამეფოსთან დაახლოება მიმზიდველი გახადოს.

ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის მარცხი ორიენტაციის შეცვლას არ უკავშირდება სეხნია ჩხეიძის ნაშრომში“. (იქვე, გვ. 90).

მეთვრამეტე საუკუნის ისტორიოგრაფიის მიმოხილვისას პროფ. ი. ცინცაძე ეხება პაპუნა ორბელიანს და ომან ხერხეულიძეს. საქართველოს ყველა ისტორიკოსი, მათ შორის აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი პაპუნა ორბელიანს როგორც ისტორიოგრაფოს ბევრად მაღლა აყენებს ომან ხერხეულიძეზე. მაგრამ ი. ცინცაძე, ასეთ შეფასებას არ ეთანხმება და წერს: „...რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფაქტების აღნუსხვის დროს ო. ხერხეულიძე პ. ორბელიანზე უფრო რეალურად მოაზროვნე მოჩანს“ (იქვე, გვ. 99).

რით დაიმსახურა პ. ორბელიანმა პროფ. ი. ცინცაძის გულისწყრომა, ხოლო ო. ხერხეულიძემ მოწონება? მხოლოდ იმით, რომ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, „პაპუნა ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზისა და ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკის — რუსეთზე ორიენტირების პოლიტიკის — დამცველი ისტორიკოსია“, „პაპუნა ორბელიანის მთელი მსჯელობა რუსეთზე იმედის დამყარების პოლიტიკის გამართლების ცდა არის თავიდან ბოლომდე“ (იქვე, გვ. 97-98).

სწორედ იმის გამო, რომ პ. ორბელიანი რუსეთთან დაახლოების გულმხურვალე მომხრეა, ი. ცინცაძეს არ მოსწონს მისი შეხედულებანი. სამაგიეროდ მას ძალიან მოსწონს მდივანბეგი ო. ხერხეულიძის „რეალიზმი“ იმის გამო, რომ იგი უარყოფს რუსეთზე ორიენტაციას და არ მიაჩნია შეუძლებლად თურქეთთან საერთო ენის გამონახვა.

ამრიგად, პროფ. ი. ცინცაძის შეხედულება საქართველოს მესვეურთა მიერ რუსეთზე აღებული ორიენტაციის საკითხზე გარკვეულია. მას ეს ორიენტაცია, რომელიც სავსებით გაამართლა ისტორიის მთელმა მსვლელობამ და რომელსაც ყოველთვის მხარს უჭერდა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, არასწორად მიაჩნია. პროფ. ი. ცინცაძე ერთადერთი როდია, რომელსაც ნაციონალისტური შეხედულებები აქვს გამოთქმული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე. ანალოგიური ხასიათის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

13 ნოემბრის პლენარული სხდომა

გენერალური კომიტეტის სხდომა

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გენერალური კომიტეტის სხდომა. ამ კომიტეტში შედიან გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარეები და მისი შვიდი კომიტეტის თავმჯდომარეები. კომიტეტი განიხილავს პროცედურულ საკითხებს და ამზადებს რეკომენდაციებს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგზე. გუშინდელ სხდომაზე გენერალურმა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში პლენარული სხდომების განსახილველად შეტანილ იქნას საკითხი ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მოქმედების შესახებ და ეგრეთწოდებული „უნგრეთის მდგომარეობის“ საკითხი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა გაილაშქრა ამის წინააღმდეგ, რომ გენერალურმა ასამბლეამ განიხილოს უნგრეთის საკითხი.

ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას შეუძლებლად მიაჩნია უგულებელყოფილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ეს წესდება სულაც არ აძლევს უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩაერიოს საქმეებში, რომლებიც არსებითად შედის სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციაში.

ასამბლეის დღის წესრიგში ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ შეტანის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი პეტრჟელკა.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, სალვადორის, დომინგოს რესპუბლიკის, პერუს წარმომადგენლები, აგრეთვე ჩანკაიშელი მოითხოვდნენ „უნგრეთის საკითხის“ შეტანას ასამბლეის დღის წესრიგში.

ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა აგრეთვე მხარი დაუჭირა „უნგრეთის საკითხის“ განხილვას, მან წინადადება შეიტანა გადაეცეს ეს საკითხი პოლიტიკურ კომიტეტს. მენონმა განაცხადა, რომ უნგრეთის ამბებში ბევრი რამ არის გაურკვეველი, და რომ, გარდა ამისა, ეს საკითხი დაკავშირებულია უნგრეთისათვის დახმარების გაწევის პრობლემასთან. ინდოეთის წარმომადგენლის აზრით, პოლიტიკური კომიტეტის უფრო საქმიანი, შვიდი ვითარება ხელს შეუწყობდა უნგრეთის საკითხის არსებითად განხილვას.

ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთისა და პერუს წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ ეგრეთწოდებული „უნგრეთის მდგომარეობის“ საკითხი ახლავე იქნას განხილული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომებზე.

საკითხი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას ეგრეთწოდებული პუნქტი „უნგრეთის მდგომარეობის“ შესახებ, განიხილა გენერალურმა კომიტეტმა, ისე რომ მონაწილეობა არ მიუღია უნგრეთის წარმომადგენელს. საბჭოთა წარმომადგენლის წინადადება უნგრეთის დელეგატის მიწვევის შესახებ უარყოფილ იქნა 6 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ.

სხდომის ბოლოს გენერალურმა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია — გადიდდეს გენერალური ასამბლეის ვიცე-თავმჯდომარეთა რიცხვი 8-მდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შემდგომი შეცვლით.

13 ნოემბრის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). 13 ნოემბერს დღის მეორე ნახევარში გაიმართა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა. სხდომის დასაწყისში ასამბლეის თავმჯდომარე ვან ვაითჰაიაკონი მიესალმა იმ სახელმწიფოთა დელეგაციებს, რომლებიც მიღებული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად გენერალური ასამბლეის მეათე და მეთერთმეტე სესიებზე, — ალბანეთის, იორდანიის, ირლანდიის, პორტუგალიის, უნგრეთის, იტალიის, ავსტრიის, რუმინეთის, ბულგარეთის, ფინეთის, ცეილონის, ნეპალის, ლიბიის, კამბოჯის, ლაოსის, ესპანეთის, სუდანის, მაროკოსა და ტუნისის დელეგაციებს. მან აღნიშნა, რომ ახალ სახელმწიფოთა მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად განამტკიცებს საერთაშორისო მშვიდობის საფუძვლებს. ჩვენ, თქვა მან, განუხრელად უნდა განვაგრძოთ ჩვენი ღონისძიებანი ამ მიმართულებით, სანამ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ნამდვილად არ გახდება მსოფლიო ორგანიზაცია ამ სიტყვის სრული აზრით.

შემდეგ გამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრი ქვეყნების დელეგაციები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ი. ხორვატმა რწმენა გამოთქვა, რომ, მიუხედავად უკანასკნელ დროს საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებისა, მშვიდობიანი თანაარსებობა გაიმარჯვებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი პრინციპი იქნება. ხორვატმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება ცივი ომის ძალების სერიოზული დამარცხება იყო.

ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა ლუკანოვმა განაცხადა, რომ ახალი წევრების მიღება იყო დიდწინშენელოვანი ნაბიჯი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამდვილ უნივერსალურ ორგანიზაციად გადაქცევის გზაზე. მან რწმენა გამოთქვა, რომ გადაიდგმება მეორე ნაბიჯი და დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ბოლოს, წარმოდგენილი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მაროკოსა და იმ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ამას წინათ მოიპოვეს თავიანთი დამოუკიდებლობა, იმედი გამოთქვეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების იმ დებულებას, რომელიც კრძალავს ძალის გამოყენებას ხალხთა ურთიერთობაში, ზუსტად დაიცავენ. ცეილონის წარმომადგენელმა გუნევარდენემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პატარა ქვეყნები ყველაზე მეტად იტანჯებიან დაძაბული მდგომარეობით და ცივი ომით.

შემდეგ ასამბლეამ დაიწყო დღის წესრიგში იმ დამატებითი საკითხების შეტანის შესახებ გენერალური კომიტეტის რეკომენდაციების განხილვა, რომლებიც განხილული იყო გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე. ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიულ მოქმედების საკითხი ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ იქნა კენჭისყრელად. ეგვიპტის წინააღმდეგ უტიფარმა და აშკარა აგრესიამ ისეთი დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში, რომ იმ ქვეყნების წარმომადგენლებმაც კი, რომლებმაც ეს აგრესია გაიაზიეს, და მათმა სულისჩამდგმელებმა ვერ გაბედეს წინააღმდეგობა გაეწიათ დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანისათვის. მაგრამ, ახლო აღმოსავლეთში სერიოზული მდგომარეობისათვის ყურადღება რომ ჩამოეშორებინათ, მათ კვლავ მიმართეს მანევრს. ამისათვის ისინი კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ ასამბლეის დღის წესრიგში შეეტანათ ეგრეთწოდებული საკითხი უნგრეთის მდგომარეობის შესახებ, თუმცა მისი განხილვა წარმოადგენს უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევას და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ამ მანევრის განხორციელება იკისრეს ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიისა და პერუს დელეგატებმა. როგორც ჩვეულებრივ, ტონი მისცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ საკითხი უნგრეთის მდგომარეობის შესახებ განხილულიყო სასწრაფო წესით და რომ მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეთ. ამჯერად ძირითადი ცილისწამებლური ანტისაბჭოთა სიტყვის წარმოსათქმელად გამოუშვეს ბელგიის დელეგატი სპაააკი. მისმა სიტყვამ — ფარისევლობისა და ცინიზმის ნარევმა — არ შეიძლება ზიზღი არ გამოიწვიოს.

დღის წესრიგში უნგრეთის საკითხის შეტანის წინააღმდეგ გამოვიდნენ უნგრეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგატები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა ი. ხორვატმა გაიხსენა უნგრეთის მთავრობის წინა განცხადებანი „უნგრეთის საკითხის“ განხილვის წინაღმდეგ როგორც უშიშროების საბჭოში, ისე გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე და კვლავ კატეგორიულად გაილაშქრა თავისი ქვეყნის საშინაო საქმეებში ასეთი ჩარევის წინააღმდეგ.

უნგრეთის მთავრობის სახელით, განაცხადა ხორვატმა, კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს საკითხი შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო კომპეტენციას, და გადაჭრით წინააღმდეგი ვარ, რომ იგი განიხილოს გენერალური ასამბლეის სესიამ.

უნგრეთის წარმომადგენელმა ასამბლეას მოახსენა უნგრეთის მთავრობის 12 ნოემბრის პასუხი რეზოლუციებზე, რომლებიც საგანგებო სესიის თავს მოახვიეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა ეგრეთწოდებულ „უნგრეთის საკითხზე“.

უნგრეთის მთავრობა ამ პასუხში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ მდგომარეობის მოწესრიგება, რომელიც უნგრეთში წარმოიშვა, ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ უნგრეთის მთავრობის საშინაო იურიდიულ კომპეტენციას და ამიტომ გენერალური ასამბლეის ყოველი რეზოლუცია, რომელიც უნგრეთში პოლიტიკურ მდგომარეობას შეეხება, არის მის საშინაო საქმეებში ჩარევა და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ცნობილ დებულებებს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა: პლენარული სხდომის განსახილველად წარმოდგენილია გენერალური კომიტეტის წინადადება შეტანილ იქნას გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში საკითხი „მდგომარეობა უნგრეთში“. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მიაჩნია, რომ გენერალურ ასამბლეაში ამ საკითხის დასმისა და განხილვისათვის არავითარი საფუძველი არ არის.

„უნგრეთის მდგომარეობის“ საკითხის შეტანა ასამბლეის დღის წესრიგში ამჟამად, როდესაც უნგრეთის დემოკრატიულმა ძალებმა ეს-ეს არის წარმატებით ჩააქრეს ფაშისტური პუტჩი, მოწყობილი ანტიხალხური და კონტრრევოლუციური ელემენტების მიერ, რომლებიც უცხოეთის ზოგიერთ წრეებს ეყრდნობიან, მხოლოდ ზიანს მოუტანდა უნგრელ ხალხს. იგი საშუალებას მისცემს გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა ვნებათა ღელვის გაღვივებისათვის იმ პრობლემის გარშემო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უნგრეთის მთავრობის კომპეტენციის შეადგენს.

გენერალურ ასამბლეაზე „უნგრეთის მდგომარეობის“ საკითხის დაყენება მიზნად ისახავს უნგრეთის ამბების გარშემო პროვოკაციული ხმაურით ჩამოშორონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისა და ასამბლეის ყურადღება შეიარაღებულ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ, რაც ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი ახორციელებენ. ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა თავიანთი დანაშაულისათვის — ეგვიპტის ქალაქების ბარბაროსულ დაბომბვისათვის, მშვიდობიანი ადამიანების მხეცური დახოცვისათვის, საერთაშორისო ვითარების სერიოზული გამწვავებისათვის.

უნგრელმა ხალხმა, მისმა ჯანსაღმა დემოკრატიულმა ძალებმა ბრძოლა გაუმართეს იატაკქვეშეთიდან გამოსულ რეაქციას. ეს ადვილი ბრძოლა როდი იყო, რადგან ფაშისტები კარგად იყვნენ შეიარაღებული და გულდასმით შემუშავებული გეგმით მოქმედებდნენ. მიუხედავად ამისა, მეამბოხეთა ზრახვებმა სრული კრახი განიცადა.

კონტრრევოლუციური ძალების განადგურებაში უნგრელ ხალხს დახმარება გაუწიეს საბჭოთა ჯარის ნაწილებმა, რომლებიც უნგრეთში არიან ვარშავის ხელშეკრულების თანახმად და უნგრეთის მთავრობის მოწოდებით თავდადებით შეასრულეს თავიანთი ძმური მოკავშირეული ვალი ანტიხალხური შეთქმულების აღკვეთის საქმეში.

ამრიგად, უნგრელმა ხალხმა მოიგერია კონტრრევოლუციური ძალისა და საერთაშორისო რეაქციის იერიში და დაიცვა თავისი რევოლუციური მონაპოვარნი, თავისი დემოკრატიული წყობილება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი იდეალების ერთგული ხალხები, რომლებიც მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებისათვის იბრძვიან, ეჭვი არ არის საჭირო გაკვეთილს მიიღებენ უნგრეთის ამბებიდან, რათა კონტრრევოლუციურმა ძალებმა, რომლებიც საერთაშორისო რეაქციის დახმარებას ეყრდნობიან, მომავალში ვერასოდეს ვეღარ შეძლონ ისეთი სისხლისღვრის მოწყობა, როგორითაც აღინიშნა მათი თარეში უნგრეთში.

როგორც ცნობილია, ამჟამად უნგრეთში რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის ხელმძღვანელობით სწრაფად მიმდინარეობს ამბოხებით დარღვეული ნორმალური ცხოვრების აღდგენა. დახმარება სურსათით, მოწყობილობით, მედიკამენტებით, რასაც სახალხო უნგრეთს უწევენ ყოველი მხრიდან, და უწინარეს ყოვლისა სოციალისტური სახელმწიფოები, აადვილებს უნგრეთში მდგომარეობის უსწრაფეს ნორმალიზაციას. უნგრელი ხალხის ქეშმარიტ მეგობრების ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით დაეჩქარონ ასეთი ნორმალიზაცია. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევას კი შეუძლია მხოლოდ ხელი შეუშალოს სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცების იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც მთავრობამ გამოაცხადა.

სწორედ ამიტომ საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს უნგრეთის დელეგაციის მოსაზრებებს და გადაჭრით ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ „უნგრეთის მდგომარეობის“ საკითხი შეტანილ იქნას გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა დაიდმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ უნგრეთში ზორაციელდება მდგომარეობის ნორმალიზაცია — გაიხსნა სკოლები, მაღაზიები, ქარხნებმა და ფაბრიკებმა მუშაობა განაახლეს. უნგრეთის საკითხის განხილვა, თქვა მან, ვერ შეუწყობს ხელს ამ პროცესს. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი, ვინც თავს გვაზვევს ამ საკითხის განხილვას, როდი ესწრაფვიან უნგრეთში მშვიდობისა და წესრიგის განმტკიცებას. გენერალური ასამბლეა, თქვა დასასრულ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, არ უნდა წამოეგოს იმათ ანკესზე, ვინც ცდილობს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ჩამოაშოროს აგრესიის ეგვიპტის წინააღმდეგ, ვინც ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა გამოიყენოს სოციალიზმის ქვეყნებზე ცილისწამებისათვის.

მიუხედავად უნგრეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების კატეგორიული წინააღმდეგობისა, ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „უნგრეთის მდგომარეობის“ საკითხი შეიტანონ დღის წესრიგში და განიხილონ იგი გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომებზე.

ი. ხორვატის შეხვედრა დ. ჰამარშელდთან

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ გუშინ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ხორვატი შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დ. ჰამარშელდს და საუბარი ჰქონდა მასთან.

ბოლომდე აღმოვფხვრათ გურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივები ქართულ ისტორიოგრაფიაში

(დასასრული)

შეცდომებს ეხვდებით პროფ. ს. კაკაბაძის, პროფ. ვ. დონდუას და სხვა ისტორიკოსთა შრომებშიც. ყველა მათი გარჩევა ძალიან შორს წაგვიყვანდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ისტორიკოსები არაერთხელ იყვნენ გაკრიტიკებული მათ მიერ დაშვებული შეცდომებისათვის, მაგრამ დღემდე არსებითად არაფერი გაუკეთებიათ ამ შეცდომების გამოსასწორებლად.

საქართველოს ისტორიკოსთა საპატიო მოვალეობაა ბრძოლა გამოუცხადონ და ძირფესვიანად აღმოფხვრან ქართულ ისტორიოგრაფიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ყველა ასეთი ნაშთი და გამოვლინება. ახლა არ კმარა რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულობის დეკლარაციული აღიარება, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი მიმართავს საჭიროა ფაქტებით, საბუთებით ვუჩვენოთ ის სერიოზული ცვლილებანი, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარებაში მოხდა ჯერ კიდევ რევოლუციის წინა პერიოდში. განსაკუთრებით ფართოდ უნდა ვუჩვენოთ პროგრესისაკენ გრანდიოზული ნახტომი, რომელიც საქართველოში განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენს დროში მოძმე რესპუბლიკის მეცნიერებთან იმ დრომოჭმული პოლემიკის გაგრძელება ისტორიული გეოგრაფიისა და ძეგლების გარშემო, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში. ასეთი ხასიათისაა, მაგალითად, აკადემიკოს ს. ჯანაშიას ბროშურა ტოკარსკის წიგნის გამო, პროფ. ვ. დონდუას შენიშვნები „სომეხი ხალხის ისტორიაზე“ („მიმომხილველი“ № 3, გვ. 65) და სხვ.

მოვიყვანოთ პროფ. ვ. დონდუას მსჯელობიდან თუნდაც ერთი მაგალითი: „სომეხი ხალხის ისტორიაში“, როგორც ჩანს, აღნიშნულია, რომ მეთორმეტე საუკუნეში სომხეთი, მართალია, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა, მაგრამ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობის ატრიბუტებს და მისი მმართველობა მინდობილი ჰქონდა ზაქარია მხარგრძელს. პროფ. ვ. დონდუა აღშფოთებული დავობს საკითხის ასეთი გაშუქების გამო. მაშასადამე, ამბობს იგი, სომხეთი სახელმწიფო ყოფილა საქართველოს სახელმწიფოშიო. ნუთუ არ იციან, რომ სომხეთში მაშინ ფულიც კი ქართული იყო (თბილისური) და აქედან გამომდინარე სომხეთის რა სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტზე შეიძლება ამ დროს ლაპარაკი და სხვ. შეუწყნარებელია ასეთი ქედმაღლური დამოკიდებულება ჩვენი მოძმე რესპუბლიკის ისტორიასთან და ისტორიკოსებთან.

როგორც ჩანს, სარეცენზიო შრომის ავტორები იძლევიან საფუძველს ასეთი არაჯანსაღი და ჩვენი დროისათვის შეუფერებელი დავისათვის. მაგრამ ეს პროფ. ვ. დონდუას არ ამართლებს. განა სხვისი ცუდი მაგალითი ჩვენთვის მისაბაძი უნდა გახდეს?

ასეთი პოლემიკის გასამართლებლად ისტორიკოსთა ერთ წრეში გაიგონებთ: „თავს ვიცავთ, დავის წამომწყები ხომ ჩვენ არა ვართო“ და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში ეს სინამდვილეს შეეფერება, რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივებს ისტორიოგრაფიაში სხვაგანაც აქვს ადგილი. მეცნიერული პოლემიკა ისტორიის საკითხებზე მიზანშეწონილია და საჭირო. მაგრამ ისეთი დავა, რომელსაც ნაციონალისტური ელფერი აქვს სრულიად მიუღებელია. იგი ხელს არ უწყობს საბჭოთა ქვეყნის უდიდეს მონაპოვარს — სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, მასების ინტერნაციონალურ აღზრდას. ჩვენს ქვეყანაში შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა: პერიოდულად ეწყობა მოძმე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებათა გაერთიანებული სესიები და, ამგვარად, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ამ სამეცნიერო სესიებზე განვიხილოთ და მეცნიერულად გადავწყვიტოთ ასეთი საკითხები.

* * *

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივებს ლიკვიდაციას საქართველოში აფერხებდა ბერიევშრინა, რომლის შედეგების დაძლევისათვის ახსნა-განმარტებითი მუშაობა და ბრძოლა უკანასკნელ დრომდე სათანადოდ არ იყო გაჩაღებული. სათანადო ბრძოლა არ წარმოებდა იმ ნაციონალისტური შეხედულებების წინააღმდეგ, რომლებიც გამოთქმულია ბერიას მიერ მზაკვრულად მითვისებულ წიგნაკში, რომელშიც დამახინჯებულად წარმოდგენილია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მარქსიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორია საქართველოსა და ამიერკავკასიაში. იმპერიალიზმის აგენტი ბერია მარქსიზმის წყაროდ საქართველოში აცხადებდა დასავლეთ ევროპას და იმ პირებს (ნ. ჯორდანია და სხვ.), რომლებმაც „მარქსიზმი“ ბერნშტეინისაგან ისწავლეს, შეაზავეს იგი ნაციონალიზმთან და ამრიგად მოგვევლინენ საქართველოში როგორც ოპორტუნიზმის აშკარა მედროშენი. განგებ იყო მიჩქმალული ის ქეშმარიტება, რომ მარქსიზმის წარმოშობა და გავრცელება საქართველოში წარმოებდა რუსეთის გზით, რომელთანაც იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად. მიჩქმალული იყო ის ქეშმარიტება, რომ მარქსიზმის გავრცელების პირველი ეტაპი საქართველოში დაკავშირებულია გ. ვ. პლეხანოვის მიერ დაარსებულ „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ მოღვაწეობასთან, მარქსიზმის განვითარების მეორე და გადამწყვეტი ეტაპი კი — ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან. გენიალური ლენინის მიერ დაარსებული პეტერბურგის „მუშათა განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ იყო შესანიშნავი მაგალითი, რომლის მიხედვით იქმნებოდა მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებული პირველი, ნამდვილად მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები საქართველოში.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერება მოწოდებულია აღზარდოს ფართო მასები ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით. იგი უაღრესად პატრიოტული მეცნიერებაა. ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით შეიარაღებული გამოცდილ ისტორიკოსთა კადრები, რომელთა გადაუდებელი ამოცანაა გააძლიერონ ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივების წინააღმდეგ, ამასთან საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა როდი ნიშნავს, როგორც ეს ზოგიერთ თავგამოდებულ ნიღილისტს ემარცება, რომ ყოველი ეროვნული წყალს გაატანო.

მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია მოითხოვს ღრმად და ყოველმხრივ შეეგისწავლოთ საზოგადოებრივი დოვლათის უშუალო მწარმოებლის — მშრომელი ხალხის ისტორია. ამისათვის საჭიროა უკუვაგდოთ წარსულის უაზრო იდეალიზაცია, ძველი დრომოჭმული ადათები და ტრადიციები, კრიტიკულად მივუდგეთ წარსულის მემკვიდრეობის შესწავლას.

ბოლომდე აღმოვფხვრათ ნაციონალიზმის რეციდივები, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ სულ უფრო და უფრო განმტკიცდეს ხალხთა დიადი მეგობრობა, ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველთა საფუძველი.

ნ. ბროლიძე.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დელეგაცია მოსკოვს გამგზავრებულა

ვარშავა, 14 ნოემბერი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შედეგების შესაბამისად, რომელიც ვარშავაში გაიმართა მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, დღეს 12 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით ვარშავიდან მოსკოვს გაემგზავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა (დელეგაციის მეთაური), პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზაგადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი და სახელმწიფო ეკონომიური დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარე სტეფან ენდრიხოვსკი.

დელეგაციასთან ერთად გაემგზავრნენ აგრეთვე ფინანსთა მინისტრის მოადგილე და პოლონეთის ეროვნული ბანკის დირექტორი ვიტოლდ ტრომპჩინსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ევგენი შირი და სხვები.

დელეგაციასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში ბ. კ. პონომარენკო.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დელეგაცია ვარშავის მთავარ ვაგზალში გააცილეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის წევრებმა, აგრეთვე სეიმის მარშალმა იან დემბოვსკიმ. დელეგაცია გააცილეს აგრეთვე ვარშავაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა.

მდგომარეობა უნგრეთში

ფერენც მიუნიხის ინტერვიუ ჩეხოსლოვაკიის დელეგათა საგენტოს კორესპონდენტებისადმი

პრაღა, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგათა საგენტო გადმოგცემს, 12 ნოემბერს უნგრეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და შეიარაღებული ძალების და საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრმა ფერენც მიუნიხმა ბუდაპეშტში ჩეხოსლოვაკიის დელეგათა საგენტოს კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა:

უნგრეთის ამბების პირველსავე დღეებში ინიციატივა ხელთ იგდეს ჰორტისტმა ოფიცრებმა, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოვიდნენ, და აქტიური მონაწილეობისათვის მოიზიდეს რეაქციის შინაგანი ძალები. ამრიგად წარმოიშვა სიტუაცია, რომ კონტრრევოლუციური ძალები უნგრეთში მოიპოვებდნენ სრულ უპირატესობას და სათავეში ჩაუდგებოდნენ ხელისუფლებას. დღეს, როგორც ყველას შეუძლია დარწმუნდეს, ბუდაპეშტში გამეფებულია სიმშვიდე და წესრიგი. თუმცა ზოგიერთ ადგილას შეიძლება კიდევ გამოჩნდნენ რეაქციული ელემენტებისა და დამნაშავეების ჯგუფები, რომლებიც გასულ კვირაში საპყრობილეებიდან გამოუშვეს, მაგრამ ეს ჯგუფები ცდილობენ გაქცევით უშველონ თავს და არალეგალურად გადავიდნენ ავსტრიაში.

პროვინციაში სრული წესრიგი და სიმშვიდე სუფევს. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა ჯერ სავსებით არ არის აღდგენილი, მაგრამ დაიწყო უნგრეთის მაგისტრალების უმრავლესობის აქტიურობა.

ფ. მიუნიხმა შემდეგ ილაპარაკა გადაუდებელ ეკონომიურ პრობლემებზე, რომლებიც წარმოიშვა უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით. მოიმქი მეზობელი ქვეყნების დახმარებით, თქვა ფ. მიუნიხმა, დღემდე უნგრეთში მოხერხდა დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარე სტეფან ენდრიხოვსკი.

დელეგაციასთან ერთად გაემგზავრნენ აგრეთვე ფინანსთა მინისტრის მოადგილე და პოლონეთის ეროვნული ბანკის დირექტორი ვიტოლდ ტრომპჩინსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ევგენი შირი და სხვები.

დელეგაციასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში ბ. კ. პონომარენკო.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დელეგაცია ვარშავის მთავარ ვაგზალში გააცილეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის წევრებმა, აგრეთვე სეიმის მარშალმა იან დემბოვსკიმ. დელეგაცია გააცილეს აგრეთვე ვარშავაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა.

პაღესვინის ქალთა კავშირის დეპეშა

ბეირუთი, 13 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საელჩომ ბეირუთში მიიღო პალესტინის ქალთა კავშირის შემდეგი დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სახელზე:

„მთელი კაცობრიობა და განსაკუთრებით არაბი ხალხები მტკიცედ გიჭერენ მხარს და მადლობას გიძღვნიან იმ კეთილშობილური და მტკიცე პოზიციისათვის, რომელიც თქვენმა მთავრობამ დაიკავა მშვიდობისმოყვარე ეგვიპტის წინააღმდეგ ბარბაროსული და მხეცური აგრესიის მიმართ. სულით და გულით გისურვებთ მრავალ წელს სიცოცხლესა და ბედნიერებას, ხოლო თქვენს ხალხებს ვუსურვებთ კვლავაც ყოფილიყონ ჰუმანიზმისა და სამართლიანობის უდიერსი ბურჯი და ბასტიონი.

კავშირის თავმჯდომარე ვადია კადურა კარტაბილი“.

ეგვიპტეში ჩავიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი

კაირო, 13 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთების ცნობებით, გუშინ ეგვიპტეში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი ხუთი მეთვალყურე.

არა